



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030139060476121

№ 01-420/ო

20 / ოქტომბერი / 2021 წ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომსახურებებისთვის იურიდიული
პირ(ებ)ის გამოსავლენად საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე

„სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტებისა და 21-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული:

- საკონკურსო პირობები მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა მომსახურებებისათვის იურიდიული პირ(ებ)ის გამოსავლენად (დანართი №1);
- საკონკურსო განაცხადი (დანართი №2);
- შეფასების ფორმა (დანართი №3).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელექტრონულად



ეკატერინე ტიკარაძე